დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

[მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა]

[სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი]

[12/04/2026]

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: დავით

გვარი: სიხარულიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	220407888

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	მცირე ბიზნესის მართვა Small Business Management
2	უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური
3	კვალიფიკაციის დონე[2]	VII
4	კვალიფიკაციის დასახელება	მცირე ბიზნესის მართვის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება Management and Administration
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120
9	განხორციელების ადგილი[5]	სამეგრელო-ზემო სვანეთი,

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

		ზუგდიდი, 2100 ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14, საქართველო
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული MES 3 24 0001651531 24/12/2024
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	10.12.2025
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	9.12.2025
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	10.12.2031

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	■			
2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა	■			
3. სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	■			

4. სწავლებისრესურსებით უზრუნველყოფა	■			
5. სწავლებისხარისხისგან ვითარებისშესაძლებლო ბები	-			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[9]

კომპონენტი 1.3

რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტების მკაფიოდ ჩამოყალიბება;

კომპონენტი 1.4

რეკომენდებულია, პროგრამის ძირითადი სასწავლო გეგმის კომპონენტში „საწარმოს ფინანსების“ სასწავლო კურსის შეტანა.

რეკომენდებულია, „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“ და „მცირე ბიზნესი“ გახდეს მცირე ბიზნესის მარკეტინგის კურსის წინაპირობა. ეს უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მარკეტინგთან დაკავშირებული შინაარსის უფრო სტრუქტურირებულ და ლოგიკურ განვითარებას.

კომპონენტი 1.5

რეკომენდებულია, კურსი "ბიზნესის კვლევის მეთოდები"-ის არსებითი გადამუშავება, რადგან იგი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. ასევე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, არა მხოლოდ SPSS-ს;

რეკომენდებულია, სასწავლო მასალების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის ყველაზე თანამედროვე და შესაბამისი ცოდნის მიწოდება.

კომპონენტი 2.4

რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მიერ უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მხრიდან ლიტერატურის წყაროების შესაბამისი მითითება და სამაგისტრო ნაშრომებში აკადემიური სტილის წესების დაცვა.

კომპონენტი 3.2

რეკომენდებულია, განახლდეს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები. ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს - თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ (რომელიც

[9]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

უკავშირდება ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევას) ნაწილებს;

რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასების დამატებითი მექანიზმები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტური განხორციელება და განვითარება;

კომპონენტი 4.3

რეკომენდებულია, აკადემიურმა პერსონალმა და ხელმძღვანელებმა პრიორიტეტი მიანიჭონ და გაითვალისწინონ თავიანთი კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, მათ შორის, სამეცნიერო მონაცემები CA ან Scopus-ის იმპაქტ - ფაქტორის მქონე ჟურნალებში;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

უნივერსიტეტმა გაცემული რეკომენდაციები უმრავლესობა სრულად გაითვალისწინა; გამონაკლისს წარმოადგენს სამი რეკომენდაცია, რომლებიც ნაწილობრივ არის შესრულებული. კერძოდ, ნაწილობრივად გათვალისწინებულია შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. ასევე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, არა მხოლოდ SPSS-ს;
- რეკომენდებულია, აკადემიურმა პერსონალმა და ხელმძღვანელებმა პრიორიტეტი მიანიჭონ და გაითვალისწინონ თავიანთი კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად მათ შორის, სამეცნიერო მონაცემები CA ან Scopus-ის იმპაქტ - ფაქტორის მქონე ჟურნალებში.
- რეკომენდებულია, პროგრამის ძირითადი სასწავლო გეგმის კომპონენტში „საწარმოს ფინანსების“ სასწავლო კურსის შეტანა.

რჩევ(ებ)ი[8]

კომპონენტი 2.1

სასურველია, სპეციალიზაციის გამოცდის ნიმუშის უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნება.

კომპონენტი 2.2

სასურველია, გაძლიერდეს პრაქტიკულ კომპონენტებში დამსაქმებელთა ჩართულობა;

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საპროექტო აქტივობებში მეტი სტუდენტის ჩართულობა;

კომპონენტი 2.3

სასურველია კურსის "საწარმოო პრაქტიკის" სწავლებისა და შეფასების მეთოდების შემდგომი განხილვა და დაკვირვება.

კომპონენტი 2.4

სასურველია, ლექტორებმა უფრო ხშირად მიაწოდონ სტუდენტებს უკუკავშირი სწავლის შედეგების თაობაზე, ისევე როგორც საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგების გაუმჯობესების შესახებ.

კომპონენტი 3.1

სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში.

სასურველია სტუდენტებსთვის ჩატარდეს სხვადასხვა სახის სემინარები და ვოქშოფები დამსაქმებელთა ჩართულობით.

კომპონენტი 4.2

სასურველია, განისაზღვროს თუ რა რაოდენობის მაგისტრანტი შეიძლება ჰყავდეს ერთ ხელმძღვანელს.

კომპონენტი 4.4

სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების რეგულარულად განახლება ახალი გამოცემებით, რაც პროგრამას უზრუნველყოფს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით.

კომპონენტი 5.1

სასურველია, პროგრამის და აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესში სტუდენტების და კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობის წახალისება;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

უსდ მიერ ყველა რჩევა არის გათვალისწინებული

---

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

დამატებითი ინფორმაცია[10]

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
რეკომენდაცია I[14]	**რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტების მკაფიოდ ჩამოყალიბება;**
შეფასება	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი შეფასებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან ერთობლივად. მექანიზმი ეყრდნობა ორ ძირითად მიდგომას — პირდაპირ და არაპირდაპირ შეფასებას. პირდაპირი შეფასება მიმართულია სტუდენტის კონკრეტული აკადემიური მიღწევის გაზომვაზე და ხორციელდება სასწავლო დისციპლინების ფარგლებში. პროგრამა მოიცავს ათ სწავლის შედეგს, რომლებიც დაჯგუფებულია თემატურად. პირველი სამი შედეგი დაკავშირებულია თეორიულ ცოდნასთან და ფასდება თანამედროვე ბიზნესმოდელების, მცირე ბიზნესის მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო მენეჯმენტის დისციპლინებში, ძირითადად ქვიზისა და წერითი გამოკითხვის მეშვეობით. მეოთხე და მეხუთე შედეგები პრობლემის გადაჭრის და ინოვაციური მიდგომების უნარს ზომავს ბიზნესის კვლევის მეთოდებისა და ინოვაციური მენეჯმენტის კურსებში. მეექვსე და მეშვიდე შედეგები მარკეტინგულ კომპეტენციებს შეეხება და ფასდება

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში
[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მარკეტინგის, რეკლამის, ოპერაციული მენეჯმენტისა და ინტეგრირებული კომუნიკაციების დისციპლინებში. მერვე შედეგი, რომელიც კვლევისა და პრეზენტაციის უნარს ეხება, სამაგისტრო ნაშრომით ფასდება. მეცხრე და მეათე შედეგები კი ეთიკასა და კომუნიკაციურ კომპეტენციებს ზომავს საწარმოო პრაქტიკის, ეფექტური ბიზნეს კომუნიკაციებისა და თანამედროვე საკორპორაციო სამართლის კურსების ფარგლებში. ყველა ამ შემთხვევაში სამიზნე ნიშნულია, რომ სტუდენტთა სულ მცირე 50 პროცენტმა 65 და მეტი ქულა მიიღოს. არაპირდაპირი შეფასება კი გარედან, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის პერსპექტივით აფასებს პროგრამის ეფექტიანობას. სტუდენტებს სწავლის პერიოდში ეკითხებათ საკუთარი ცოდნისა და უნარების შესახებ და მოსალოდნელია, რომ მათი სულ მცირე 70 პროცენტი ცოდნის დონეს კარგად ან ძალიან კარგად შეაფასებს. პედაგოგები სწავლის პერიოდში სტუდენტებს აკვირდებიან და ინტერვიუს საფუძველზე აფასებენ, სადაც მოსალოდნელია პედაგოგთა 80 პროცენტის დადებითი დაფიქსირება. კურსდამთავრებულები პროგრამის დასრულების შემდეგ გამოიკითხებიან თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების, სტრატეგიის ფორმირებისა და პროფესიული განვითარების მოტივაციის შესახებ, სადაც სამიზნე ნიშნული 75-80 პროცენტია. დამსაქმებლები კი დასაქმებიდან პირველ წელს გამოიკითხებიან კურსდამთავრებულის პრაქტიკული კომპეტენციების, ეთიკური ქცევისა და კომუნიკაციური უნარების შესახებ, სადაც 70-80 პროცენტიანი დადებითი შეფასებაა მოსალოდნელი. მთლიანი მექანიზმი ციკლურად მუშაობს — შეფასების შედეგები სამიზნე ნიშნულებს შედარება, იდენტიფიცირდება მიგნებები, ტარდება ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროგრამის შინაარსობრივი მოდიფიცირება. ამ გზით შეფასების მექანიზმი პროგრამის მუდმივი განვითარების ინსტრუმენტად გვევლინება. **რეკომენდაცია შესრულებულია.**
რჩევა[15]I	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• განახლებული კითხვარები • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

სტანდარტის დასახელება	1. აგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II[16]	**რეკომენდებულია, პროგრამის ძირითადი სასწავლო გეგმის კომპონენტში „საწარმოს ფინანსების“ სასწავლო კურსის შეტანა.**
შეფასება	მცირე ბიზნესის საგანმანათლებლო სამაგიტრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში დამატებულია სასწავლო კურსის ,,საწარმო ფინანსები”. თუმცა რეკომენდაციაშია მითითებულია ამ სასწავლო კურსის დამატება ძირითად სასწავლო გეგმის კომპონენტში. **რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია**
რჩევა[17]II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• მცირე ბიზნესის სამაგისტრო პროგრამა

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა დაშინაარსი
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“ და „მცირე ბიზნესი“ გახდეს მცირე ბიზნესის მარკეტინგის კურსის წინაპირობა. ეს უზრუნველყოფს პროგრამის ფარგლებში მარკეტინგთან დაკავშირებული შინაარსის უფრო სტრუქტურირებულ და ლოგიკურ განვითარებას.**
შეფასება	პროგრამის სტრქტურაში ფიქსირდება, რომ მცირე ბიზნესის მარკეტინგის წინაპირობაა მცირე ბიზნესის მენეჯმენტი. **რეკომენდაცია გათვალისწინებულია**.
რჩევაII	
შეფასება	• საგანმანათლებლო პროგრამა
მტკიცებულებ(ები)ა	

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 აკადემიური კურსი/საგანი
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, კურსი "ბიზნესის კვლევის მეთოდები"-ის არსებითი გადამუშავება, რადგან იგი ერთ-ერთი**

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	უმნიშვნელოვანესი საგანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის.
შეფასება	**კურსის "ბიზნესის კვლევის მეთოდები"-ის** სილაბუსის შინაარსი **კარგად არის აგებული** და მოიცავს ბიზნესის კვლევის მეთოდების არსებით კომპონენტებს. **თემატიკა თანმიმდევრულია და ლოგიკურად გაშლილი:** კურსი იწყება საფუძვლებით — კვლევის მეთოდოლოგია და კრიტიკული აზროვნება — და თანდათანობით გადადის უფრო რთულ საკითხებზე: გაზომვა, ექსპერიმენტი, სტატისტიკური ანალიზი, კორელაცია. ეს პროგრესია სტუდენტს საშუალებას აძლევს ცოდნა ეტაპობრივად დააგროვოს. **პრაქტიკული მიმართულება შესამჩნევია:** კვლევის პროცესი, შერჩევის დიზაინი, კითხვარის შედგენა, მონაცემების შეგროვება და ანალიზი — ეს ყველაფერი პრაქტიკული კვლევის განხორციელებისთვის საჭირო უნარებს ავითარებს. ბოლო თემა — კვლევის ანგარიშის მომზადება — ლოგიკური დასასრულია, რადგან სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის წერისთვის პირდაპირ გამოსადეგ უნარს უვითარებს. **კურსის** შინაარსი მყარ საფუძველს ქმნის სამაგისტრო კვლევის განსახორციელებლად და **რეკომენდაცია გათვალისწინებულია.**
რჩევაII	• სასწავლო კურსის სილაბუსი
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 აკადემიური კურსი/საგანი
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებზე წვდომა, რაც მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისთვის. ასევე, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სასწავლო პროცესში გამოყენებულ პროგრამულ უზრუნველყოფას, არა მხოლოდ SPSS-ს;**
შეფასება	კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში ექსელით სწავლება არ ფიქსირდება. უნივერსიტეტმა უზრუნველყო სტუდენტთა წვდომა ეროვნულ და საერთაშორისო სტატისტიკურ მონაცემთა წყაროებზე. სტატისტიკურ მონაცემთა ბაზაზე წვდომა უზრუნველყოფილია. **რეკომენდაცია ნაწილობრივ გათვალისწინებულია.**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• ბიზნესის კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი

სტანდარტის დასახელება	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება	1.5 აკადემიური კურსი/საგანი
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, სასწავლო მასალების პერიოდული გადახედვა და განახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტებისთვის ყველაზე თანამედროვე და შესაბამისი ცოდნის მიწოდება.**
შეფასება	შესწავლილ იქნა ყველა სილაბუსი, რომელთა ანალიზის საფუძველზეც გამოვლინდა გამოყენებული ლიტერატურა, რომელიც განახლებას საჭიროებს. განახლების საჭიროება განისაზღვრა შემდეგი კრიტერიუმით: გამოყენებულ ლიტერატურად მითითებული გამოცემები, რომლებიც გამოქვეყნდა 5 ან მეტი წლის წინ. **ინოვაციების მენეჯემენტი:** **2.** ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ., ქუთათელაძე რ. ინოვაციების მენეჯმენტი, გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი“, 2008. **3.** აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი, საგამომცებლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2009. 4. Measuring Innovation. New Perspective, OECD, 2010, 5. Erika Kraemer-Mbula and Watu Wamae, Innovation and the Development Agenda, OECD/IDRC, 2010, **6.** Fred Gault, "Innovation Strategies for a Global Economy: Development, Implementation, Measurement and Management", 2010, 7. The Design-driven Material Innovation Methodology. Universitat Politècnica de València, Spain, 2016. ყველაზე ახალი გამოცემა ფიქსირდება 10 წლის წინ **რეკლამა მცირე ბიზნესში:** 1. ბერიძე თ., ყურაშვილი გ., გოდერძიშვილი ბ., ,,რეკლამა მცირე ბიზნესში“. სალექციო კურსი. ზსსუ, 2017 2. Mark Hoxie ; 90 Days to Success Marketing and Advertising Your Small Business, 2010 **ეკონომიკური პოლიტიკა**

	1. რაინერ კლუმპი. ეკონომიკური პოლიტიკა: მიზნები, ინსტრუმენტები და ინსტიტუციები; თბ; 2015 2. აგნეს ბენასი-კუერი, ბენუა კიური და სხვ. ეკონომიკური პოლიტიკა : თეორია და პრაქტიკა/ თბ;2016 3. Yanis Varoufakis,Joseph Halev and Nicholas J. Theocarakis "Modern Political Economics". 2011, Edition-Routledge,Taylor and Francia Group. კრიზისული მენეჯმენტი 1. Edited by Arjen Boin, ,, Crisis Management" , London, Introduction and editorial arrangement © Arjen Boin 2008 2. ,,THE NEW RULES OF CRISIS MANAGEMENT", Copyright Pending 2018 by RockDove Solutions All 3. ქეშელაშვილი გ. ,,ანტიკრიზისული მენეჯმენტი", თბილისი, "უნივერსალი", 2010 აგრობიზნესი 1. ს. ყამარაული და სხვა, ,,სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და აგრობიზნესი" გამომცემლობა ,,მერიდიანი" თბილისი. 2011 წელი. 2. Freddie Berand,Jay Akridge,Frank Dooley and John Foltz "Agribusiness Management "fourth edition by Routledge Taylor and Francis Group,2012. 3. **Improving the legal environment for agricultural marketing. FAO AGRICULTURAL SERVICES BULLETIN 139. FAO 1999** **სასურველია ზემოთ მოცემული ხუთი კურსის სილაბუსში მითითებული ლიტერატურა განახლდეს**
რჩევაII	
შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• სასწავლო კურსის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 სტუდენტის შეფასება
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების მიერ უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების მხრიდან ლიტერატურის წყაროების შესაბამისი მითითება და სამაგისტრო ნაშრომებში აკადემიური სტილის წესების დაცვა.**

შეფასება	უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, რეკომენდაცია — ხელმძღვანელების მიერ სტუდენტების მხრიდან ლიტერატურის წყაროების შესაბამისი მითითებისა და აკადემიური სტილის წესების დაცვის უზრუნველყოფა — შეიძლება შეფასდეს, **როგორც შესრულებული.** პირველ რიგში, ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება №39 (25 სექტემბერი 2025) პირდაპირ პასუხობს ამ რეკომენდაციას და „მცირე ბიზნესის მართვის" სამაგისტრო პროგრამისთვის ციტირების APA სტილი სავალდებულოდ დაამტკიცა. შემდეგ, განახლებულ მაგისტრატურის დებულებაში (27 ოქტომბერი 2025) ეს მოთხოვნა რამდენიმე მუხლით არის განმტკიცებული. მე-15 მუხლი ხელმძღვანელს სავალდებულოდ ავალდებულებს უზრუნველყოს ლიტერატურის წყაროების შესაბამისი მითითება და აკადემიური სტილის დაცვა. მე-16 მუხლი კი პირდაპირ მოითხოვს, რომ ხელმძღვანელის დასკვნა სავალდებულოდ შეიცავდეს „აკადემიური სტილისა და ციტირების წესების დაცვის შეფასებას". მე-18 მუხლის თანახმად, ნაშრომის დაცვაზე დაშვებამდე სავალდებულოა ტექნიკური შესაბამისობის შემოწმება, მათ შორის ციტირების კონტროლი, ხოლო შეფასების კრიტერიუმებში (დანართი №1) ციტირების საერთაშორისო სტანდარტების დაცვას 10 ქულიდან 4 ქულა ეთმობა. გარდა ამისა, უსდ-ს ორგანიზებით ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი, რომელიც ეხებოდა აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და ეფექტურ მენტორობას. კვლევითი ნაშრომების ხარისხის კონტროლს, ტრენინგ ამ თემაზე ჩატარდა პირველკურსელებისათვის.
კომპონენტის დასახელება	**კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**
რჩევაII	**სასურველია, სპეციალიზაციის გამოცდის ნიმუშის უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნება.**
შეფასება	თვითსეფასებაში უნივერსიტეტი აღნიშნავს, რომ სრულად გაიზიარა მიღებული რჩევა და სტუდენტებს საჭირო სასწავლო რესურსებზე წვდომა უზრუნველყო. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის მიერ შემუშავებული სპეციალიზაციის გამოცდის ნიმუშის ვარიანტი გამოქვეყნდა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და მითითებულია ბმული. ბმულზე როდესაც შევდივართ მსგავსი რამ არ იძებნება.
მტკიცებულებ(ები)ა	• https://zssu.ge/node/3642
კომპონენტის დასახელება	კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რჩევაII	**სასურველია, გაძლიერდეს პრაქტიკულ კომპონენტებში დამსაქმებელთა ჩართულობა;**

შეფასება	უნივერსიტეტმა ორივე მითითება სრულად გაითვალისწინა. დამსაქმებლებთან თანამშრომლობა რამდენიმე მიმართულებით გაღრმავდა: ბიზნესსექტორის წარმომადგენლები უშუალოდ ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, ხოლო სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სტაჟირების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა.
მტკიცებულებ(ები)ა	• სტაჟირების პროგრამის გაფართოებული ჩამონათვალი • შემოქმედებითი ინკუბატორის შესახებ დებულება • საგრანტო პროგრამის დებულება
კომპონენტის დასახელება	კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რჩევაII	**სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს საპროექტო აქტივობებში მეტი სტუდენტის ჩართულობა;**
შეფასება	სტუდენტების აქტიურობის ამაღლების მიზნით, ფართოდ გამოიყენება უნივერსიტეტში არსებული შემოქმედებითი ინკუბატორის პოტენციალი. ინკუბატორი სტუდენტებს საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის განსაკუთრებულ შანსს სთავაზობს, რაც მათ საშუალებას აძლევს მოიპოვონ დაფინანსება და საკუთარი თეორიული იდეები ცოცხალ ბიზნეს-პროექტებად აქციონ.
მტკიცებულებ(ები)ა	• შემოქმედებითი ინკუბატორის შესახებ დებულება • საგრანტო პროგრამის დებულება
კომპონენტის დასახელება	კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები
რჩევაII	**სასურველია კურსის "საწარმოო პრაქტიკის" სწავლებისა და შეფასების მეთოდების შემდგომი განხილვა და დაკვირვება.**
შეფასება	უნივერსიტეტმა ექსპერტების რჩევა სრულად გაიზიარა და კურსის შეფასების სისტემა პრაქტიკული კომპონენტის განსამტკიცებლად გადახედა. შუალედური შეფასების ფარგლებში მრავალვარიანტიანი ტესტები გაუქმდა და მათ ადგილი დაუთმო პრაქტიკაზე ორიენტირებულმა, უფრო ადეკვატურმა შეფასების ფორმამ. დაინერგა პრაქტიკული დავალებებისა და პროექტების პრეზენტაცია, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ პრაქტიკის მსვლელობისას განხორციელებული აქტივობები, დაგროვებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები.
მტკიცებულებ(ები)ა	• კურსის „საწარმოო პრაქტიკა“ სილაბუსი
კომპონენტის დასახელება	კომპონენტი 2.4 სტუდენტის შეფასება
რჩევაII	**სასურველია, ლექტორებმა უფრო ხშირად მიაწოდონ სტუდენტებს უკუკავშირი სწავლის შედეგების თაობაზე, ისევე როგორც საკუთარი ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების შედეგების გაუმჯობესების შესახებ.**

შეფასება	უნივერსიტეტმა მიღებული რჩევა სრულად გაითვალისწინა. უკუკავშირის ხარისხის ამაღლების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები ჩაატარა, რომლებიც ეფექტური და კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემის პრაქტიკას მოიცავდა. ტრენინგების მთავარი აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ უკუკავშირი დაკავშირებული ყოფილიყო სწავლის კონკრეტულ შედეგებთან, ნათლად წარმოეჩინა სტუდენტის ძლიერი მხარეები და შეიცავდეს მკაფიო მითითებებს იმ სფეროების შესახებ, სადაც გაუმჯობესებაა საჭირო, ასევე კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმაც პროგრესისთვისაა აუცილებელი.
მტკიცებულებ(ები)ა	• ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სტანდარტის დასახელება	3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, განახლდეს სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები. ყველა სამაგისტრო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს ძირითად მოთხოვნებს - თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ (რომელიც უკავშირდება ავტორის მიერ განხორციელებულ კვლევას) ნაწილებს;**
შეფასება	უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე **რეკომენდაციაც შესრულებულია.** მაგისტრატურის განახლებულ დებულებაში (27 ოქტომბერი 2025) მე-17 მუხლი პირდაპირ და დეტალურად აწესრიგებს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურულ მოთხოვნებს. დებულება პირდაპირ მიუთითებს, რომ ნაშრომის სტრუქტურა „უნდა ასახავდეს თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ კომპონენტებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ჰოლისტიკური შეფასება." თეორიული ნაწილი ვალდებულია მოიცავდეს დარგის უახლესი ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვას და ძირითადი ცნებების ანალიზს, მეთოდოლოგიური ნაწილი უნდა შეიცავდეს კვლევის დიზაინის, მეთოდების და ინსტრუმენტების დასაბუთებულ აღწერას, ხოლო პრაქტიკული ნაწილი სავალდებულოდ უნდა ასახავდეს ავტორის მიერ განხორციელებულ ორიგინალურ კვლევას, მონაცემთა შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს და შედეგების ინტერპრეტაციას.

	განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს სამი კომპონენტი ასევე შეფასების კრიტერიუმებშიც (დანართი №1) თანაბარი წონით არის ასახული. შინაარსობრივი შეფასების 66 ქულა სწორედ სამ თანაბარ ნაწილად — თეორია, მეთოდოლოგია და პრაქტიკული კვლევა — თითოეული 22 ქულით არის განაწილებული. ამასთან, მე-13 მუხლი კვლევითი კომპონენტის მიზანს განმარტავს და პირდაპირ ხაზს უსვამს ავტორის მიერ დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის სავალდებულო ხასიათს. შეიძლება ითქვას, რომ ეს რეკომენდაცია წინა რეკომენდაციასთან შედარებით კიდევ უფრო სრულყოფილად არის შესრულებული, ვინაიდან სამივე კომპონენტი არა მხოლოდ ნაშრომის სტრუქტურულ მოთხოვნებშია ჩართული, არამედ შეფასების სისტემაშიც სრულად და თანაბრად არის გათვალისწინებული. **რეკომენდაცია შესრულებულია.**
მტკიცებულებ(ები)ა	• სამაგისტრო ნაშრომის დებულება
კომპონენტის დასახელება	კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები
რჩევაII	**სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში.** **სასურველია სტუდენტებისთვის ჩატარდეს სხვადასხვა სახის სემინარები და ვოქშოფები დამსაქმებელთა ჩართულობით.**
შეფასება	უნივერსიტეტმა სრულად გაიზიარა ექსპერტთა რჩევები და შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის სტრატეგია, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს. **I. მიზნობრივი სტრატეგიები და პარტნიორობა** უნივერსიტეტმა პასიური ინფორმირებიდან აქტიურ ჩართულობაზე გადაინაცვლა. დაიწყო მიზნობრივი საინფორმაციო შეხვედრების გამართვა პერსონალისა და სტუდენტებისთვის, გააქტიურდა მუშაობა საერთაშორისო პარტნიორებთან და განხორციელდა სამუშაო ვიზიტი პენსილვანიის უნივერსიტეტში არსებული მემორანდუმის გასაფართოებლად. ჩატარდა ორი მაღალი დონის საერთაშორისო ღონისძიება სამართლისა და დემოკრატიის თემატიკაზე, რომლებშიც ცხრა ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. უნივერსიტეტი პირველად გახდა Erasmus+ CB VET პროექტის პარტნიორი და ამჟამად ევროკომისიის დაფინანსებით ოთხ პროექტს ახორციელებს, რომლებიც მოიცავს ახალი სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას, ციფრულ ტრანსფორმაციას და აკადემიური პერსონალის განვითარებას. **II. მობილობის ფორმატების დივერსიფიკაცია**

	სემესტრიანი მობილობის შეზღუდულობის გათვალისწინებით, დაინერგა მოქნილი ალტერნატივები: საერთაშორისო საზაფხულო სკოლები, ინტენსიური ვორქშოფები და ვირტუალური გაცვლითი პროგრამები. საანგარიშო პერიოდში 11 თანამშრომელი ჩაერთო საერთაშორისო ტრენინგებში (სომხეთი, რუმინეთი, იტალია), 11 სტუდენტი მონაწილეობდა Erasmus+ გაცვლით პროექტებში (პოლონეთი, იტალია), ხოლო 49 სტუდენტი ჩაერთო ვირტუალურ გაცვლით პროგრამაში და მიიღო ევროკავშირის მიერ აღიარებული სერტიფიკატი. **III. მხარდამჭერი მექანიზმების გაძლიერება** მობილობის ბარიერების მოსახსნელად გატარდა სამი მნიშვნელოვანი ღონისძიება: დაინერგა "ერთი ფანჯრის" პრინციპი, რომელიც პროგრამის შერჩევიდან გამგზავრების ორგანიზებამდე სრულ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს; შეიქმნა შიდა თანადაფინანსების მექანიზმი, რომელიც ფინანსურ ბარიერს აცილებს; გამარტივდა მობილობის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარების პროცედურები,
მტკიცებულებ(ები)ა	• "ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის სტრატეგია". • ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების პენსილვანიის უნივერსიტეტში ვიზიტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია • საერთაშორისო კონფერენციისა და შემოდგომის • საერთაშორისო სკოლის ჩატარების დამადასტურებელი ინფორმაცია და ლინკები • საერთაშორისო პროექტების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები

სტანდარტის დასახელება	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა
კომპონენტის დასახელება	3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, უსდ-მ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასების დამატებითი მექანიზმები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტური განხორციელება და განვითარება;**
შეფასება	**რეკომენდაცია შესრულებულია.** კერძოდ უსდ- გაუმჯობესა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების კითხვარი, რომელიც მოიცავს გაზომვად კრიტერიუმებს. გარდა ამისა ამ მიმართულებით ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი.
რჩევაII	

შეფასება	
მტკიცებულებ(ები)ა	• კითხვარები

სტანდარტის დასახელება	4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
რეკომენდაცია II	**რეკომენდებულია, აკადემიურმა პერსონალმა და ხელმძღვანელებმა პრიორიტეტი მიანიჭონ და გაითვალისწინონ თავიანთი კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად მათ შორის, სამეცნიერო მონაცემები CA ან Scopus-ის იმპაქტ - ფაქტორის მქონე ჟურნალებში**
შეფასება	უნივერსიტეტმა შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა კვლევითი საქმიანობის წახალისებისა და განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი მექანიზმი. ენობრივი კომპეტენციის განვითარების კუთხით, უნივერსიტეტმა აღიარა, რომ ადრე არსებული უფასო კურსები სათანადო შედეგს ვერ იძლეოდა. ამის საპასუხოდ, შემოიღეს სავალდებულო „აკადემიური ინგლისური ენის" პროგრამა, რომელიც სხვადასხვა დონეზე არის მორგებული და პირდაპირ სამეცნიერო მუშაობისთვის საჭირო უნარების გამომუშავებაზეა ორიენტირებული. ამასთანავე, პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების სისტემა შეიცვალა ისე, რომ ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვება უფრო მაღალ შეფასებას იძლევა, რაც პერსონალს დამატებით სტიმულს უქმნის. საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერის მიზნით, კვლევითი ბიუჯეტი გაიზარდა. განახლებული დაფინანსება, ადგილობრივი კონფერენციების მხარდასაჭერად, პრიორიტეტულად ითვალისწინებს პერსონალის მონაწილეობას მაღალი რეიტინგის საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში, რაც კვლევითი საქმიანობის საერთაშორისო ასპარეზზე გაყვანას ემსახურება. შეიქმნა ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი, რომელიც კვლევითი პროდუქტიულობის ზრდაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ცენტრმა უკვე გამოაქვეყნა მაღალი რეიტინგის სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის ორენოვანი კრებულები, რომლებიც დარგობრივ ლიტერატურას ამდიდრებს. გამომცემლობითი საქმიანობის სტანდარტიზაციის მიზნით დამტკიცდა სამეცნიერო სტატიების წარდგენისა და გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტები, ასევე სამეცნიერო ჟურნალისთვის რეცენზირების ფორმა, რომელიც სტატიების ობიექტურ და სტრუქტურირებულ შეფასებას უზრუნველყოფს.

	დასასრულ, პერსონალის ყოველწლიურ შეფასებაში შეიტანეს კონკრეტული, გაზომვადი ინდიკატორები, რომლებიც პირდაპირ ასახავს პროფესიულ ზრდას, ენის ცოდნის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო კვლევით აქტივობას. ამგვარდა უსდ მიერ შემუშავებული მექანიზმი რეკომენდაციას ნაწილობრივ პასუხობს, თუმცა სრულად ვერ დაფარავს მას. რაც შეეხება პოზიტიურ მხარეებს, უნივერსიტეტმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც რეკომენდაციის მიმართულებით მოქმედებს. კვლევითი ბიუჯეტი გაიზარდა და პრიორიტეტი მიენიჭა მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობას, პერსონალის შეფასების სისტემაში შეიტანეს საერთაშორისო კვლევითი აქტივობის გაზომვადი ინდიკატორები, შეიქმნა ინტერდისციპლინური კვლევების ცენტრი, რომელმაც უკვე გამოაქვეყნა სამეცნიერო პუბლიკაციები, და დანერგეს სტატიების წარდგენისა და რეცენზირების სტანდარტები. თუმცა არსებობს მნიშვნელოვანი გასაუმჯობესებელი მხარეები — ტექსტი არსად პირდაპირ არ ახსენებს და არ ითვალისწინებს კონკრეტულად Scopus-ის ან Web of Science-ის იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების მოთხოვნას, რაც რეკომენდაციის ცენტრალური და ყველაზე სპეციფიკური მოთხოვნაა. საუბარია ზოგადად „მაღალრეიტინგულ" ჟურნალებსა და ფორუმებზე, მაგრამ Scopus-ი ან CA კონკრეტულად არ არის მითითებული. ამასთან, ტექსტი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს კონფერენციებში მონაწილეობაზე და შიდა კრებულების გამოცემაზე, ნაცვლად საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისა, რაც რეკომენდაციის მთავარი არსია. შეჯამებით, მექანიზმები სწორი მიმართულებით მოქმედებს და კარგ საფუძველს ქმნის, თუმცა რეკომენდაციის სრული შესრულებისთვის საჭიროა კონკრეტულად Scopus-ისა და CA-ს იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნების სავალდებულო მოთხოვნის ჩართვა როგორც შეფასების კრიტერიუმებში, ისე კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში. **რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.**
კომპონენტი დასახელება	4.2 სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია
რჩევაII	სასურველია, განისაზღვროს თუ რა რაოდენობის მაგისტრანტი შეიძლება ჰყავდეს ერთ ხელმძღვანელს.

შეფასება	უნივერსიტეტმა მიღებული რჩევა გაითვალისწინა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესის მოწესრიგების მიზნით შესაბამისი მექანიზმი შეიმუშავა. კერძოდ, დაწესდა რაოდენობრივი შეზღუდვა: ერთ ხელმძღვანელს არა უმეტეს ოთხი მაგისტრანტის ერთდროულად ხელმძღვანელობა შეუძლია. ეს მიდგომა მიზნად ისახავს აკადემიური პერსონალის გადატვირთვის თავიდან აცილებას და სახელმძღვანელო დროის რაციონალურ განაწილებას, რაც საბოლოო ჯამში ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხარისხზე და პროცესის საერთო ეფექტურობაზე დადებითად აისახება.
მტკიცებულებ(ები)ა	• მაგისტრატურის დებულება

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 მატერიალური რესურსი
რეკომენდაცია II	
შეფასება	
რჩევაII	სასურველია ბიბლიოთეკის რესურსების რეგულარულად განახლება ახალი გამოცემებით, რაც პროგრამას უზრუნველყოფს შესაბამისი აინფორმაციო რესურსებით.
შეფასება	2024-2025 სასწავლო წლის განმავლობაში მცირე ბიზნესის მართვის სამაგისტრო პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო 20 ახალი შესაბამისი გამოცემით.
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსის სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია II	
შეფასება	
რჩევაII	სასურველია, პროგრამის და აკადემიური პერსონალის განვითარების პროცესში სტუდენტების და კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობის წახალისება
შეფასება	უნივერსიტეტმა რჩევა გაითვალისწინა და პრაქტიკაში ნერგავს სტუდენტთა ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრების ფორმატს. სემესტრის შუა პერიოდში იგეგმება არაფორმალური შეხვედრების გამართვა, რომელთა მიზანია სასწავლო მეთოდების ეფექტურობისა და ხელმისაწვდომი

	რესურსების ხარისხის განხილვა სტუდენტების პირდაპირი მონაწილეობით.
მტკიცებულებ(ები)ა	სასწავლო კურსის სილაბუსები

თანდართული დოკუმენტაცია[18]

- განახლებული კითხვარები
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- მცირე ბიზნესის სამაგისტრო პროგრამა
- ბიზნესის კვლევის მეთოდების სასწავლო კურსი
- კურსის „საწარმოო პრაქტიკა“ სილაბუსი
- შემოქმედებითი ინკუბატორის შესახებ დებულება
- საგრანტო პროგრამის დებულება
- ტრენინგის ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- "ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის სტრატეგია".
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების პენსილვანიის უნივერსიტეტში ვიზიტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- საერთაშორისო კონფერენციისა და შემოდგომის საერთაშორისო სკოლის ჩატარების დამადასტურებელი ინფორმაცია და ლინკები
- საერთაშორისო პროექტების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები
- სასწავლო კურსის სილაბუსები
- https://zssu.ge/node/3642

ექსპერტის ხელმოწერა

დავით სიხარულიძე

[18]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა